ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №19

2 ივნისი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს

ბიუროს წევრთა

სარეგისტრაციო სია

02 ივნისი, 2021 წელი.

ბიუროს სხდომა № 19

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი V -
5. ბადრი შენგელია -
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. ემზარ შუბლაძე V -
10. რაჟდენ ტორონჯაძე V -
11. დავით ამაღლობელი -
12. ვაჟა სტურუა -
13. ლიზა კრავეიშვილი -
14. ილია მჟავია -
15. ავთანდილ თადუმაძე V -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი N 19

ქ. სამტრედია. 2 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 2 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობით მომართვასთან დაკავშირებით, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნორა იანიკოვის, მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ***2021 წლის 2 ივნისის N 116-38 მოხსენებითი ბარათი,*** რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 0. 40 ათ.ლარით (ეკონომია გამოწვეულია თანამშრომლის უფასო შეებულების სარგებლობის გამო), საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო- სასტამბო ხარჯის მუხლში 1.10 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის მუხლი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.50 ათ.ლარით, სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, საარქივო მომსახურების ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, სხვა საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით, სულ თანხა მცირდება 4.30 ათ.ლარით. შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 3.60

ათ.ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 0.70 ათ.ლარით შემოქმედებითი ჯგუფების გასვლითი ღონისძიებებში ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობისათვის, სულ 4.30 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/3063, 01/06 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 150 /**38** 01/06/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის

საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №19

შედგება "4" / ოთხი / ფურცლისაგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

ნუგზარ ჯამბური

2021 წელი